

**სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ქცევის წესები**  
**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121\6 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელთა ქცევის ზოგად წესებს.
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოვალეობები და ქცევის ზოგადი წესები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე წესითა და დაწესებულების სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებით.

**მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა უფლებები**

**1. პროფესიულ სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:**

- ა) დაემორჩილოს წინამდებარე წესით, კოლეჯის სხვა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
  - ბ) პატივისცემით მოექცეს პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს;
  - გ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, მისი დაზიანების შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
  - დ) დაიცვას კოლეჯის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და წიგნადი ფონდის სარგებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულოს ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ შენობაში ქცევის ზოგად წესებს;
  - ე) ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანისა და დაბრუნების, ასევე სასწავლო ლიტერატურის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში იხელმძღვანელოს კოლეჯის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებით;
  - ვ) საპატიო მიზეზის გარეშე არ დააგვიანოს როგორც აუდიტორულ, ასევე დისტანციური ფორმით განხორციელებულ ონლაინ ლექციაზე;
  - ზ) კოლეჯის შენობაში/ტერიტორიაზე არ განახორციელოს ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის მოხმარება (გარდა საამისოდ გამოყოფილი ადგილისა), ასაფეთქებელი საშუალების, ცივი ან/და ცეცხლსასროლი იარაღის, საფრთხის შემქმნელი მასალების (ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების ეს სადმე ჩაისმება?) შემოტანა, შენახვა, გავრცელება-გამოყენება, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა, შენახვა, გავრცელება და მოხმარება, ძალადობა, ძალის გამოყენება, თავდასხმა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდარღვევების ჩადენა;
  - თ) არ გამოცხადდეს/გადაადგილდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ან სხვა სახის თრობის მდგომარეობაში;
  - ი) შეასრულოს პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა მოთხოვნები/მითითებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობას და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;
  - კ) პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
  - ლ) არ შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების ნებართვის გარეშე არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი ან სხვა ტექნიკური საშუალებ(ებ)ა არასასწავლო მიზნით;
  - მ) ფლობდეს ინფორმაციას, რომ დაუშვებელია წინამდებარე ქცევის წესების, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დარღვევა, სასწავლო/შეფასების პროცესის ჩაშლის მცდელობა. როგორც აუდიტორულ, ასევე დისტანციური ფორმით განხორციელებულ ონლაინ ლექციაზე დაგვიანებით შესვლა ან თვითნებურად მიტოვება;
  - ნ) დაიცვას კოლეჯის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და არ დააზიანდოს შიდა და გარე პერიმეტრი;
  - ო) დაემორჩილოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელ(ებ)სა და კოლეჯში წესრიგზე პასუხისმგებელ პირს/პირებს;
  - პ) არ დაუშვას განზრახ, გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
  - ჟ) არ მიაყენოს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სხვა პირებს, არ მოახდინოს სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან/და მორალური ზემოქმედება, დისკრიმინაცია - პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ზემოაღნიშნული პირისათვის დამაშინებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფასა და შეზღუდვას;
  - რ) ფინანსური ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე, სხვა ფინანსური დავალიანება (არსებობის შემთხვევაში) და მოთხოვნის შემთხვევაში, კოლეჯს წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - ს) მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის მიერ განხორციელებულ შესაბამის კვლევებსა და გამოკითხვებში ხარისხის გაუმჯობესების მიზნებისთვის (მათ შორის, უზრუნველყოს კოლეჯთან მუდმივ თანამშრომლობა და ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესახებ, როგორც სწავლის პროცესში, ასევე სწავლის დასრულების შემდეგ. პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ ნებართვის გაცემა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული განათლების განვითარების მიზნებისთვის (როგორც არის: პოსტერების დამზადება, წარმატებული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, სტატეების მომზადება და სხვა PR-აქტივობებში მონაწილეობის მიღება).
  - ტ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები.
- 2. პროფესიულ სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია:**
- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება, უწყვეტი კარიერული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა;

- ბ) მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
- გ) მონაწილეობა მიიღოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ინიცირებაში კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით;
- დ) მიიღოს განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ე) იცნობდეს და იყენებდეს მის უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
- ვ) ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;
- ზ) თავისუფლად გამოთქვას აზრი ნებისმიერ საკითხზე და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
- თ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- ი) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება;
- კ) მოითხოვოს მოდულის/სწავლის შედეგის/სასწავლო კურსის ობიექტური შეფასება პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მსემნელთა შეფასების წესებისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის/ტრენინგ-კურსის/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;
- ლ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის (ცხრილის), სწავლის შედეგების შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ;
- მ) პროფესიულ სტუდენტთა და მსემნელთა უფლებების დაცვის ნაწილში ისარგებლოს კოლეჯის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციებით;
- ნ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის“ შესაბამისად;
- ო) დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს დისციპლინურ წარმოებაში კოლეჯის მიერ შემუშავებული „დისციპლინური წარმოების წესის“ თანახმად;
- პ) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ (შესაბამისი გარემოების შემთხვევაში).

**მუხლი 3 . არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსემნელის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები**

**1. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:**

- ა) იცნობდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს;
- ბ) მიიღოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისა და ადმინისტრაციისაგან მისთვის საინტერესო საკითხებზე;
- გ) მიიღოს ინფორმაცია შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევის შესახებ;
- დ) მოითხოვოს შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;
- ე) მოითხოვოს კოლეჯში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ვ) გაასაჩივროს მისი შვილის (მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება.

**2. მშობელი/კანონიერ წარმომადგენელი ვალდებულია:**

- ა) დაიცვას კოლეჯთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ბ) ითანამშრომლოს და მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს კოლეჯში;
- გ) აანაზღაუროს კოლეჯისადმი შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი;
- დ) შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
- ე) კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან ურთიერთობისას/დისტანციური ფორმით განხორციელებული ონლაინ ლექციების მსვლელობისას დაიცვას ეთიკის ნორმები;
- ვ) შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური, ასევე, სხვა ფინანსური დავალიანება და მოთხოვნის შემთხვევაში, კოლეჯს წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 4 . უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დაცვა**

1. კოლეჯი, თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და მსემნელთა სწავლისათვის უსაფრთხო პირობების შექმნას.
2. კოლეჯი პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა არსებითი წესების დაცვის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს ყველა მათგანის შესრულებაზე.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის/მსემნელებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

**მუხლი 5. შეფასების პროცესში მოქმედი ქცევის წესი**

1. შეფასების შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარებისა და ჰიგიენური საშუალებების, ასევე მოდულით/თემატიკით განსაზღვრული სხვა საჭირო ნივთების ქონა. დაუშვებელია არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, ნებისმიერი სახის ჩანაწერების და სხვადასხვა ხელსაწყოების შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება, შეფასების პროცესში ქცევის წესების დარღვევა, (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, შეფასების პროცესის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა) ან წინამდებარე ქცევის წესებით განსაზღვრული ქმედების ჩადენა. შეფასების ინსტრუმენტის ფორმის/საგამოცდო ნაშრომის დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლის შედეგით/თემატიკით განსაზღვრულ დავალების შესრულებასთან.
2. აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი/მსემნელი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში, შესაძლოა მოიხნას შეფასების/საგამოცდო პროცესიდან.
3. დაუშვებელია შეფასების ინსტრუმენტის/საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე აუდიტორიის დატოვება ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობითა და სხვა ობიექტური პირობებით განპირობებული გარემოებისა.